SKYMAX GEORGIA

KIEHL die saubere Lösung

Carp-Extracta

ხალიჩების ღრმა წმენდის საშუალება ექსტრაქციის გაფრქვევის მეთოდით

თვისებები

Carp-Extracta შეიცავს ძლიერმოქმედ, დაბალი ქაფიანობის წარმომქმნელ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს. მათი შეღწევა უზრუნველყოფს ჭუჭყის სწრაფ გახსნას და ეფექტურ მოცილებას წმედნის ექსტრაქციული ტექნოლოგიით. საფარში დარჩენილი ტენიანობა ქმნის წებოვან პოლიმერულ აგლომერატს, რომელიც გაშრობის შემდეგ მარტივად სცილდება მტვერსასრუტით (anti-soil effect).
Carp-Extracta ანადგურებს მტვრის ტკიპას და აქრობს უსიამოვნო სუნს

შემადგენლობა (648/2004/EC-ის შესაბამისად)

არაიონური სურფაქტანტები < 5%, ფოსფატები< 5%, ჰიდროფილური გამხსნელები, პოლიმერული დისპერსიები, არომატიზატორები (Limonene), კონსერვანტები (Methyl-/Methylchloroisothiazolinone).
pH (კონცენტრატში): დაახლ. 8,5 pH (სამუშაო ხსნარში): დაახლ. 7,5

გამოყენების სფერო

გამოიყენება ნებისმიერი ფერადი და ტენიანობა გამძლე იატაკის ტექსტილის საფარის გასაწმენდად.

გამოყენება

წმენდის წინ კარგად დაამუშავეთ საფარი მტვერსასრუტით და მოაცილეთ ლაქები.

სპრეი-ექსტრაქცია:
დაბინძურების ხარისხის მიხედვით, 0,5-1 ლიტრი 8 ლიტრ ცივ წყალზე.

ჩაასხით სამუშაო ხსნარი სარეცხი მტვერსასრუტის ავზში, დაიტანეთ ხილულ ლაქებზე და საფარის მეტად დატკეპნილ ნაწილებზე. დაამუშავეთ იატაკი პარალელური მოძრაობებით, მტვერსასრუტის თქვენსკენ მიმართული საცმით. არ იაროთ საფარზე მის სრულ გაშრობამდე. გამშრალი საფარი დაამუშავეთ მტვერსასრუტით ყოველდღიური დასუფთავების რეჟიმით, სასურველია ჯაგრისიანი საცმით.

წმენდა ტექსტილის პადით:
დაბინძურების ხარისხზე დამოკიდებულებით 100-150 მლ 1 ლ ცივ წყალზე.

ჩაასხით სამუშაო ხსნარი გამფრქვევში. დაასველეთ ხსნარით ტექსტილის პადი და მოათავსეთ ერთდისკიანი მანქანის ქვეშ. დაახლოებით 1 მ² საფარზე მსუბუქად გააფრქვიეთ საწმენდი საშუალება და დაამუშავეთ წრიული მოძრაობებით. ჭუჭყიანი პადი გადააბრუნეთ ან შეცვალეთ ახლით.

ხალიჩის საფარის წმენდა

20.11.2012 01.03.2019

მწარმოებელი პასუხს არ აგებს პროდუქტის არასწორი ან არაკვალიფიციური გამოყენების შედეგად მიყენებულ ზარალზე.

მოხმარება 1 მ²

სპრეი-ექსტრაქცია: 100 მლ
წმენდა ტექსტილის პადით: 5 მლ

მხოლოდ პროფესიონალური გამოყენებისთვის!

შეფუთვა

კანისტრი 10 ლ — არტ № j 60 02 10
კასრი 200 ლ — არტ № j 60 02 72

მოარიდეთ ყინვას!

www.kiehl-group.com